Rücktritt vom Versuch

Im **deutschen Recht** gilt als Rücktritt ein Verhalten, durch das der Täter mit strafbefreiender Wirkung von einer Tat Abstand nimmt, nachdem die Tat bereits ins (strafbewehrte) Versuchsstadium gelangt ist. Geregelt ist der Rücktritt vom Versuch in § 24 dStGB. Es handelt sich um einen außerhalb der Kategorien von Unrecht und Schuld liegenden Strafaufhebungsgrund, der (jedenfalls nach h.M.) im Wesentlichen auf Strafzweckerwägungen beruht. Die Anforderungen an die zur Straffreiheit führende Abstandnahme von der Tat richten sich danach, ob es sich um einen unbeendeten oder einen beendeten Versuch handelt: Beim unbeendeten Versuch genügt die bloße Aufgabe der weiteren Tatausführung, während der Täter beim beendeten Versuch aktive Gegenmaßnahmen zur Verhinderung des Erfolgseintritts unternehmen muss. Im Falle des beendeten Versuchs erlangt nach deutschem Recht Straffreiheit auch derjenige Täter, dessen Handeln für den Nichteintritt des Erfolges nicht kausal wird, solange er (subjektiv) davon ausgeht, durch sein Handeln eine wirksame Gegenmaßnahme zu setzen (bedeutsam z.B. für den untauglichen Versuch). Stets muss die Abstandnahme freiwillig, d.h. aus autonomen Motiven heraus, erfolgen. Bei der Tatbeteiligung Mehrerer wirkt der Rücktritt nur für denjenigen Beteiligten, welcher (jeweils) das gesetzlich geforderte Rücktrittsverhalten zeigt; es handelt sich um einen persönlichen Strafaufhebungsgrund. Bewirkt eine Versuchshandlung bezüglich eines Delikts (z.B. eines Totschlags, §§ 212, 22, 23 dStGB) zugleich die Vollendung eines anderen Delikts (z.B. einer Körperverletzung, § 223 dStGB), so erstreckt sich die strafbefreiende Wirkung des Rücktritts nur auf das versuchte Delikt; ein Rücktritt vom vollendeten Delikt ist ausgeschlossen. Auch soweit die Vorbereitung einer Straftat (ausnahmsweise) strafbewehrt ist (vgl. § 30 dStGB), besteht für den Täter eine Rücktrittsmöglichkeit, deren Voraussetzungen in § 31 dStGB speziell geregelt sind.

Im **georgischen Recht** wird gemäß Art. 21 gStGB nicht bestraft, wer freiwillig und endgültig die weitere Ausführung der Tat aufgibt. Dies gilt für die Vorbereitungs- und die Versuchsphase. In der Versuchsphase ist der Rücktritt, der ebenfalls als Strafaufhebungsgrund angesehen wird, sowohl vom unbeendeten wie auch vom beendeten Versuch möglich. Die Rücktrittshandlung kann sowohl im aktiven Verhindern des Erfolgseintritts im Sinn einer Gegenmaßnahme als auch in einem Beenden der Handlung bestehen, sofern der Täter noch die Möglichkeit zur Fortsetzung der Handlung hatte. Die strafbefreiende Wirkung tritt jedoch nur dann ein, wenn der Erfolg auch tatsächlich durch die Rücktrittshandlung verhindert wurde. Ist durch die bereits verwirklichten Handlungen bereits ein (anderes) Delikt vollendet worden, so ist diesbezüglich der Rücktritt ausgeschlossen. Damit entsprechen sich die beiden Begriffe weitestgehend; eine nicht unwesentliche Abweichung besteht aber insoweit, als nach georgischem Recht der Nichteintritt des Erfolges zwingend kausal auf das Verhalten des Täters zurückzuführen sein muss. (Abe/Tbe)

დანაშაულზე ნებაყოფლობის ხელის აღება

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განიმარტება, როგორც ქცევა, რომლის დროსაც ამსრულებელი დანაშაულისგან უკან იხევს, მას შემდეგ, რაც ქმედებამ უკვე მიაღწია (დასჯად) მცდელობის სტადიას. მცდელობის დროს დანაშაულის განხორციელებაზე ხელის აღება რეგულირდება გსსკ-ის 24-ე პარაგრაფში. ეს არის უმართლობისა და ბრალის კატეგორიის მიღმა არსებული სასჯელისაგან გათავისუფლების წინაპირობა, რაც (ყოველ შემთხვევაში, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით) არსებითად ეფუძნება სასჯელის შეფარდების მიზნის გათვალისწინებას. დაუსჯელობისკენ მიმავალი ხელის აღების მოთხოვნები დამოკიდებულია იმაზე, არის ეს დამთავრებელი თუ დაუმთავრებელი მცდელობა: დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევაში საკმარისია, უბრალოდ, უარი ითქვას დანაშაულის შემდგომი ნაბიჯების აღსრულებაზე, ხოლო დასრულებული მცდელობის შემთხვევაში, ამსრულებელმა აქტიური ზომები უნდა მიიღოს შედეგის თავიდან ასაცილებლად. იმ შემთხვევაში, თუ მცდელობა დასრულებულია, ამსრულებელი, რომლის ქმედება არ არის შედეგის არდადგომის წინაპიობა, გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით მაინც თავისუფლდება სასჯელისგან, თუ ისინი (სუბიექტურად) თვლიან, რომ მათი ქმედება შედეგის არ დასადგომად ეფექტური საშუალება იყო (მაგალითად, უვარგისი მცდელობის დროს). დანაშაულზე ხელის აღება ყოველთვის უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ანუ დაფუძნებული ავტონომიურ მოტივებზე. თუ ქმედების განხორციელებაში ერთზე მეტი პირია ჩართული, ხელის აღება ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელიც (კონკრეტულ შემთხვევაში) ავლენს კანონით გათვალისწინებულ ხელის აღების ქცევას; ეს არის გაუქმების პირადი მიზეზი. თუ დანაშაულის ჩადენის მცდელობამ (მაგ. მკვლელობა, გსსკ-ის 212-ე, 22-ე, 23-ე პარაგრაფები) გამოიწვია სხვა დანაშაულის შედეგი (მაგ. სხეულის დაზიანება, გსსკ-ის 223-ე პარაგრაფი), სასჯელისგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე (ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობაზე); დასრულებულ დანაშაულზე ხელის აღება გამორიცხულია. თუ დანაშაულის მომზადება (გამონაკლის შემთხვევებში) ისჯება კანონით (შდრ. გსსკ-ის 30-ე პარაგრაფი), ამსრულებელს ამ შემთხვევაშიც აქვს უკან დახევის შესაძლებლობა - კონკრეტული წინაპირობები რეგულირდება გსსკ-ის 31-ე პარაგრაფი.

საქართველოს სამართალში სსსკ-ის 21-ე მუხლის მიხედვით, ვინც დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღებს ხელს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მომზადების, ისე, მცდელობის სტადიაზე, მათ შორის დამთავრებული მცდელობის სტადიაზეც კი. ამასთანავე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც აქტიური მოქმედებით (მაგალითად, პირმა აქტიური მოქმედებით ყველაფერი გააკეთოს შედეგის თავიდან ასაცილებლად), ისე, უმოქმედობითაც (მაგალითად, აღარ დაასრულოს ქმედების განხორციელება, როდესაც მას ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვს). სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძვლით, პირს მხოლოდ მაშინ არ

დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან შეძლო ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება და თუ მის მიერ უკვე განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს ამრიგად, ორი ტერმინი მეტწილად შეესაბამება ერთმანეთს; თუმცა, არის არცთუ უმნიშვნელო გადახრა, რამდენადაც, საქართველოს კანონმდებლობით, შედეგის არ დადგომა ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს. (Abe/Tbe)